



სამსონის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

სტომატოლოგიის და ფარმაციის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა

ფარმაცია

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
ჯანდაცვა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ფარმაციის მაგისტრი (Master of Pharmacy)

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მ. სამსონია
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: (+ 995 331) 4-47-82, e-mail: samsonlegion@yandex.ru

ქუთაისი
2009

1. მიზანი და ამოცანები

ფარმაცია მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი სფეროა და ამ სფეროში წარმატებული საქმიანობა მოითხოვს: ფარმაკოეკონომიკის, წამალთა ტექნოლოგიის, ფარმაკოლოგიის და ფარმაკოგნოზიის საფუძვლიან ცოდნას. შესაბამისად აკადემიური ტიპის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია: მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფარმაციის მაგისტრები, რათა ხელი შეუწყოს ფარმაცევტული სექტორის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებას და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გამართულ მუშაობას (განსაკუთრებით პანდემიების და ეთნიკური კონფლიქტების დროს).

თანამედროვე ფარმაცევტულ სექტორზე და სტუდენტზე ორიენტირებული სამაგისტრო პროგრამა საშუალებას გვაძლევს წარმატებით გადავჭრათ სწავლების მეორე საფეხურზე დასახული შემდეგი ამოცანები:

- 1) ძირითადი სპეციალობის საბაზისო კურსების საფუძვლიანი შესწავლა;
- 2) სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების ფორმირება;
- 3) აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების გამომუშავება და განვითარება;
- 4) ფარმაციის კომპლექსური სამეცნიერო საკითხების, გრძელვადიანი კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად ფორმულირება, სტრუქტურირება, ანალიზი და მართვა;
- 5) პრაქტიკაში ცოდნის გამოყენება

• მოსალოდნელი შედეგები:

სამაგისტრო პროგრამა ძირითადად ფოკუსირებულია ფარმაცევტული დისციპლინების სიღრმისეულ შესწავლაზე და მეორე საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

- 1) სასწავლო, სამეცნიერო, ნორმატიულ ცნობარებსა და სხვა წყაროებთან დამოუკიდებლად მუშაობა;
- 2) მეცნიერული თეორიებისა და მეთოდების გამოყენება როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ კონტექსტში;
- 3) კრიტიკული ხედვის კონსტრუქციული გზით გამოხატვა;
- 4) მულტიდისციპლინურ გარემოში მუშაობა, ჯგუფის გაძღოლა ან მისი აქტიური წევრობა;
- 5) ზეპირი და წერილი კომუნიკაცია უცხო ენაზე;
- 6) პრაქტიკაში ბაზისური ფარმაცევტული დისციპლინების ცოდნის გამოყენება
- 7) პროფილაქტიკური და ჰიგიენური ღონისძიებების გატარება (განსაკუთრებით პანდემიების დროს);
- 8) კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის ინფორმირება (განათლება) და მათი მხარდაჭერა
- 9) ეთიკური საკითხების გაცნობიერება
- 10) არასრული ან ლიმიტირებული ინფორმაციის პირობებში სწორი (დასაბუთებული) დასკვნების გამოტანა, ფარმაციის სფეროში მიმდინარე რთული პროცესების რაციონალური მართვა და რეგულირება.

2. პროგრამის სტრუქტურა

დასწრებული სწავლების ფორმით ფარმაციის მაგისტრის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება **2 წლით და** ითვალისწინებს **120 კრედიტის** დაგროვებას. კურიკულუმი აგებულია 4 სემესტრზე (15–15 კვირა). მაქსიმალური კვირეული დატვირთვა არ აღემატება 14 სთ–ს. მაგისტრატურა

მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- სოციალური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა;
- ფარმაცევტული ტექნოლოგია;
- ფარმაკოგნოზია;
- ფარმაცევტული ქიმია;
- ტოქსიკოლოგიური ქიმია, სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზა, კრიმინალისტიკა;
- ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაცია

მაგისტრანტი აღნიშნული მიმართულებებიდან სამაგისტრო თემას (20 კრედიტი) ირჩევს მაგისტრატურის მე-2 კურსზე (90 კრედიტის ათვისების შემდეგ) და დიპლომის დაცვაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კურიკულუმით განსაზღვრულ დისციპლინებში დააგროვებს 100 კრედიტს. საგნის შესწავლისათვის განკუთვნილი სემესტრული კრედიტი ჩაითვლება ათვისებულად თუ მაგისტრანტი გადალახავს 51%-ან ბარიერს (კრიტერიუმები იხილეთ სილაბუსში).

3. პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ/ პრ/ ს/ ლაზ	კრედიტების რაოდენობა	სემესტრები				წინაპირობა
					I	II	III	IV	
1	ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაცია –1	3	1.1.0.0	5	5				
2	ფარმაცევტული ტექნოლოგია –1	3	1.0.0.1	5	5				
3	ფარმაკოგნოზია –1	3	1.1.0.0	5	5				
4	ტოქსიკოლოგიური ქიმია, სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზა –1	3	1.0.0.2	5	5				
5	სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია –1	3	1.0.0.2	5	5				
6	სოციალური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა –1	3	1.1.0.0	5	5				
7	ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაცია –2	3	1.1.0.0	5		5			
8	ფარმაცევტული ტექნოლოგია –2	3	1.0.0.1	5		5			
9	ფარმაკოგნოზია –2	3	1.1.0.0	5		5			
10	ტოქსიკოლოგიური ქიმია, სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზა –2	3	1.0.0.2	5		5			
11	სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია –2	3	1.0.0.2	5		5			
12	სოციალური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა –2	3	1.1.0.0	5		5			
13	ფარმაცევტული ბიოტექნოლოგია	3	1.1.0.0	5			5		
14	უცხო ენა –1	3	0.3.0.0	5			5		
15	ფარმაკოთერაპია –1	3	1.1.0.0	5			5		
16	სოციალური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა –3	3	1.1.0.0	5			5		
17	ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაცია –3	3	1.1.0.0	5			5		
18	სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია –3	3	1.0.0.1	5			5		
19	უცხო ენა –2	3	0.3.0.0	5				5	
20	ფარმაკოთერაპია –2	3	1.2.0.0	5				5	
21	სამაგისტრო ნაშრომი	–	–	20					20
			სულ	120	30	30	30	30	

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ – საათი კვირაში, ლ/ პრ/ ს /ლაზ – ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორია

4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.